საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 11 მარტი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №224/17

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძველი გახდა სს ,,--“-ს (წარმომადგენელი-- --) 2017 წლის 08 დეკემბრის №-- საჩივარი.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 15 მაისის №224-17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2018 წლის 08 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება (№224/17), მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე.

მოსამართლე -- -- წარმოადგინა ახსნა-განმარტება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის -- -- გადაწყვეტილებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი

პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლე -- -- განთავისუფლებულ იქნა მოსამართლის თანამდებობიდან (უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება უნდა შეწყდეს, თუ „მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.“

გამომდინარე იქიდან, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, არ წარმოადგენს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ სუბიექტს. ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ იმსჯელებს ზემოაღნიშნული მოსამართლის მიმართ, ვინაიდან, არ არსებობს -- --, როგორც მოსამართლის მიმართ, დისციპლინური სამართალწარმოების (დევნის) განხორციელების საფუძველი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №224/17, ყოფილი მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი